ოქმი №1

ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა

ქ. ხობი 2022 წლის 15 აპრილი

ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა:

ლევან ქავთარაძე - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბჭოს თავმჯდომარე;
დოდო გაბუნია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამუნა სიჭინავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში - საბჭოს მდივანი;
აკაკი მალანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;
დავით ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - საბჭოს წევრი;
ნინო ურიდია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერულ საკითხებში;
ლევან ლაშხია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - საბჭოს წევრი;
ლევან ბუსკანძე - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის კოორდინატორი - საბჭოს წევრი;
ანა ბუკია - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის კოორდინატორი - საბჭოს წევრი.

საბჭოს სხდომას ესწრებოდა საბჭოს 6 წევრი.

ლევან ქავთარაძე - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბჭოს თავმჯდომარე.

თამუნა სიჭინავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში - საბჭოს მდივანი.

დავით ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - საბჭოს წევრი;

ნინო ურიდია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერულ საკითხებში;

ლევან ბუსკანძე - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის კოორდინატორი - საბჭოს წევრი;

ანა ბუკია - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის კოორდინატორი - საბჭოს წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. სხდომის გახსნა - ლევან ქავთარაძე - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გენდერული საბჭოს თავმჯდომარე.

2. გენდერული განვითარების გეგმის მიმოხილვა (2018-19 წწ) - ნინო ურიდია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერულ საკითხებში, გენდერული საბჭოს წევრი.
3. 2022-23 წწ გენდერული განვითარების გეგმის განხილვა - მინდია სალუქვაძე, კლუბ „პროგრესის სახლი" თავმჯდომარე.
4. გენდერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2022-23 წლებში განსახორციელებელი ქმედებების განხილვა - ნინო ურიდია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერულ საკითხებში, გენდერული საბჭოს წევრი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. სხდომის გახსნა - ლევან ქავთარაძე - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გენდერული საბჭოს თავმჯდომარე.

მოისმინეს: ლევან ქავთარაძემ ისაუბრა საბჭოს პრიორიტეტებზე და სრული მზადყოფნა გამოთქვა საბჭოს წევრთა იდეების მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მან ასევე აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებაა. ქალებს უფლება აქვთ, იცხოვრონ ღირსეულად, სიღარიბისა და შიშის გარეშე. ქალთა გაძლიერებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მდგრადი განვითარების მისაღწევად და სიღარიბის აღმოსაფხვრელად და საბჭო, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ყველაფერს გააკეთებს, რომ ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ადამიანებმა მეტი იცოდნენ გენდერული თანასწორობისა და მათი უფლებების შესახებ. წევრებს გააცნო ინფორმაცია დღის წესრიგში ცვლილების შესახებ, დღის წესრიგიდან ამოღებულ იქნა N2 და N3 საკითხები, რადგან სხდომას არ ესწრებოდა მინდია სალუქვაძე, ნინო ურიდიას უნდა წარედგინა 2018-2019 წლის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები და ამ აქტივობებიდან უნდა ამორჩეულიყო წარმატებული პრაქტიკა, რომელსაც მინდია სალუქვაძე გაითვალისწინებდა ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში.

2. გენდერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2022-23 წლებში განსახორციელებელი ქმედებების განხილვა - ნინო ურიდია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერულ საკითხებში, გენდერული საბჭოს წევრი.

მოისმინეს : ნინო ურიდიამ საბჭოს წევრებთან ერთად განიხილა გენდერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2022-23 წლებში განსახორციელებელი ქმედებები და წევრებს შესთავაზა იდეა ადმინისტრაციულ ერთეულებში მოქალაქეებთან და სკოლის მოსწავლეებთან ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრების ციკლის დაგეგმვაზე, რომელსაც საბჭოს წევრებთან ერთად ერთად, სოციალურ მუშაკი, სამედიცინო სექტორის წარმომადგენელი, ფსიქოლოგი და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ჩაატარებენ.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებმა მოიწონეს იდეა და აზრი გამოთქვეს, რომ სამოქმედო გეგმის საბოლოო ფორმირებამდე, საბჭოს წევრებმა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები, თუ რა შეიძლება იქნეს შეტანილი სამოქმედო გეგმაში და თითოეულმა წევრმა მიიღოს მონაწილეობა გეგმის შედგენაში.

საბჭოს მდივანმა თამუნა სიჭინავამ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩატარებული აქტივობების შესახებ, გააცნო მუნიციპალიტეტის წარმატებული პრაქტიკა და გადასცა 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის მონახაზი, რომელიც შეადგინა გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის შემუშავების სახელმძღვანელოს მიხედვით.

საბჭოზე განხილული იყო საკითხი, საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით, რასაც დაეთანხმა საბჭოს თითოეული წევრი.

დაადგინეს: გაგრძელდეს გენდერული თანასწორობის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაზე მუშაობა და შემდეგ სხდომაზე , თითოეულმა წევრმა წარმოადგინოს მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე